USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №46
ივლისი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №46 ბიულეტენს. მასში აღწერილია ივლისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. საქართველოს პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია

3 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია.[1] საკითხს მხარი 78-მა დეპუტატმა დაუჭირა.[2]

სხდომის დასრულების შემდეგ ოპოზიციური პარტია „გირჩის" წარმომადგენელმა ალექსანდრე რაქვიაშვილმა განაცხადა, რომ კენჭისყრის დროს სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა „ქართული ოცნების" იმდენი დეპუტატი, რამდენიც ვეტოს დასაძლევად საჭირო 76 ხმის მოსაგროვებლად იქნებოდა საკმარისი.[3] ამდენად, დეპუტატის აზრით, ვეტოს დაძლევა პროცედურის დარღვევით მოხდა.[4]

ამ საკითხს გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საქართველოს პარლამენტს 3 ივლისს ჩატარებულ კენჭისყრაზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვა.[5]

2. ირაკლი კობახიძის პრესკონფერენცია 12 პრიორიტეტის შესრულების თაობაზე

4 ივლისს „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ევროკომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად შემუშავებული 12 რეკომენდაციის შესრულების ანგარიში წარადგინა.[6] შეხვედრას ტელეკომპანიების ჟურნალისტები ესწრებოდნენ.[7] კობახიძემ რეკომენდაციები ცალ-ცალკე განიხილა და იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრა, რომელთა განხორციელების

---

[1] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/550516, განახლებულია: 22.08.2023.

[2] იქვე.

[3] „ორშაბათს, 3 ივლისს „ქართულმა ოცნებამ" პრეზიდენტის ვეტო დაძლია, რომელიც ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესს ეხებოდა", პოლიტიკური პარტია „გირჩის" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2023 წლის 6 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/BwdnAPH6, განახლებულია: 22.08.2023.

[4] იქვე.

[5] „პრეზიდენტი პარლამენტისგან მოითხოვს ინფორმაციას ვეტოს დაძლევის კენჭისყრაზე", საინფორმაციო პლატფორმა „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 7 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32493709.html, განახლებულია: 22.08.2023.

[6] „ირაკლი კობახიძის პრესკონფერენცია - ანგარიში ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების თაობაზე", ტელეკომპანია „იმედის" ოფიციალური YouTube-გვერდი, 2023 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=5r_IjgED6Nw&t=665s, განახლებულია: 22.08.2023.

[7] იქვე.

შედეგად, მისი აზრით, კონკრეტული პრიორიტეტის შესასრულებლად გადაიდგა ნაბიჯები.[8] საარჩევნო რეფორმის მიმართულებით ირაკლი კობახიძემ მთავარ მიღწევად ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურა დაასახელა.[9] იგი ასევე შეეხო ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას და აღნიშნა, რომ მმართველი პარტიისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური კრიზისის თავიდან არიდება, თუმცა ამ კუთხით დამატებითი კონსულტაციები გაიმართება ევროკომისიასთან.[10] დეოლიგარქიზაციის საკითხთან მიმართებით კობახიძემ განაცხადა, რომ ამ რეკომენდაციის შესასრულებლად, საჭიროა, ევროსტრუქტურებმა მეტი კონკრეტიკა შეიტანონ მის შინაარსში, რადგან თუ საუბარი არ არის პერსონალურ მიდგომაზე, მაშინ საჭირო იქნება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადასადგმელი ნაბიჯების ჩამოთვლა.[11]

ირაკლი კობახიძის თქმით, ხელისუფლებამ 12-ვე პრიორიტეტი „პრინციპულად" შეასრულა, დარჩენილ დროში კი გაგრძელდება კონსულტაციები მიღებული კანონმდებლობის პრაქტიკაში ჯეროვანი იმპლემენტაციისთვის.[12]

ბრიფინგს ოპოზიციის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.[13] პარტია „საქართველოსთვის" წევრის ბექა ლილუაშვილის შეფასებით, ხელისუფლება განაგრძობს კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესის „დივერსიას", ხოლო ირაკლი კობახიძის პრესკონფერენცია „ალიბის" შექმნის მცდელობაა.[14]

თინა ბოკუჩავას შეფასებით, ყველაზე ფუნდამენტური რეკომენდაციები, რომლებიც ეხება დეოლიგარქიზაციას, დეპოლარიზაციას, სასამართლო რეფორმას და მედიის თავისუფლებას შეუსრულებელია.[15]

3. მიხეილ სააკაშვილის საქმე

3 ივლისს პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სასამართლო პროცესზე დისტანციურად ჩაერთო.[16] სხდომა „7 ნოემბრის საქმეზე" გაიმართა. ყოფილმა პრეზიდენტმა ხელისუფლებას მიმართა და ღია დებატებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.[17]

იმავე დღეს, ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის სამკურნალოდ უკრაინისთვის გადაცემისკენ მოუწოდა.[18] უკრაინის პრეზიდენტის თქმით: „სწორედ ახლა რუსეთი საქართველოს ხელისუფლების ხელით უკრაინის მოქალაქეს მიხაილო სააკაშვილს კლავს".[19]

მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუ ფაქტს ტვიტერის მეშვეობით გამოეხმაურა. მან შეშფოთება გამოხატა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და საქართველოს ხელისუფლებას

[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] „ირაკლი კობახიძის პრესკონფერენცია - შეფასებები", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/irakli-kobakhidzis-preskonferencia-shefasebebi/, განახლებულია: 22.08.2023.
[14] იქვე.
[15] იქვე.
[16] „სააკაშვილი პაპუაშვილს: თქვენ უნდა მოიხადოთ ბოდიში, რომ ამ მდგომარეობამდე მიმიყვანეთ", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32487181.html, განახლებულია: 22.08.2023.
[17] იქვე.
[18] „ზელენსკი საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემისკენ მოუწოდებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/550572, განახლებულია: 22.08.2023.
[19] იქვე.

სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანისკენ მოუწოდა.[20]

სოციალურ ქსელ ტვიტერის მეშვეობით გააკეთეს კომენტარები ევროპარლამენტარებმაც. ევროპის პარლამენტის, „ევროპის განახლების ჯგუფის“ წევრის ვლად გეორგის თქმით, სააკაშვილი იმსახურებს „სამართლიან მოპყრობას და არა საბჭოთა სტილის პატიმრობას!”.[21] „ევროპის სახალხო პარტიის“ (EPP) ჯგუფის წევრის ანდრიუს კუბილიუსის შეფასებით, სააკაშვილის მდგომარეობა გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ნიშნავს, წამების წინააღმდეგ კონვენციის თანახმად, „წამება”.[22] ევროპის პარლამენტის, „ევროპის განახლების ჯგუფის“ წევრმა პეტრას ავსტრევიჩიუსმა ტვიტერზე დაწერა, რომ „მძიმე ავადმყოფს“ უარი ეთქვა ევროკავშირში სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე. მისი თქმით, „საქართველო კარგავს თავის პატრიოტებს და ოცნებას“.[23]

12 ივლისს გავრცელდა 44 ევროპარლამენტარის[24] მიერ შედგენილი წერილი,[25] რომლის ადრესატები საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი იყვნენ.[26] წერილის მიხედვით, ევროპარლამენტარებმა შეშფოთება გამოთქვეს სასამართლო პროცესზე ჩართვის დროს სააკაშვილის მძიმე ვიზუალური მდგომარეობის გამო. მათი პოზიციით, ვიდეომასალა „ცალსახად ასახავს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის სწრაფ და მძიმე გაუარესებას”.[27] ევროპარლამენტარები საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში სამკურნალოდ გადაყვანისკენ მოუწოდებენ.[28]

---

[20] „სააკაშვილის დისტანციურმა გამოჩენამ სასამართლო პროცესზე საერთაშორისო პარტნიორებში შეშფოთება გამოიწვია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/550714, განახლებულია: 22.08.2023.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] პეტრას აუსტრევიციუსი (ევროპის განახლების ჯგუფი), იეჟი ბუზეკი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), რაფაელ გლუკსმანი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), რეინჰარდ ჰანსბუტიკოფერი(მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი), ვიტოლდ ანდრეა შჩიკოვსკი (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), გაი ვერჰოფშტადტი (ევროპის განახლების ჯგუფი), ბერტ-იან რუისენი (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), ურმას პაეტი (ევროპის განახლების ჯგუფი), მარიან-ჟან მარინსკუ (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ბეატა კემპა (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), ნიკოლა სტეფანუტა (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი) ნატალი ლუზაუ (ევროპის განახლების ჯგუფი), სანდრა კალნიეტი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ფრედერიკ რისი (ევროპის განახლების ჯგუფი), ვიქტორ უსპასკიჩი, ინეს ვაიდერი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ვლადიმერ ბილჩიკი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), იუოზას ოლეკსი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), კრისტიან-სილვიუ ბუსოი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), მაიკლ გალერი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), პიტერ პოლაკი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), გიორგოს კირცოსი (ევროპის განახლების ჯგუფი), ანტონიო ლოპესი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), კარენ მელქიორი (ევროპის განახლების ჯგუფი), ფაბიო მასიმო კასტალდო () ხავიერ ნარტი (ევროპის განახლების ჯგუფი), ატილა არა-კოვაჩი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), სერგეი ლაგოდინსკი (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი) ანდრიუს კუბილიუსი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ტეის როიტენი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), მარტინ ჰოიზიკი (ევროპის განახლების ჯგუფი), ანტონი კომინი () ვალდემარ ტომაშევსკი (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), კარლეს პუჩდემონი() ალექსანდრე ვონდრა (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), ბარტ გროტუისი (ევროპის განახლების ჯგუფი), ანდჟეი ჰალიცკი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ადამ ბილანი (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), კარინ კარლსბრო (ევროპის განახლების ჯგუფი), რასა იუკნევიჩიენე (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ევგენ იურზიკა (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი), სვენ მიკსერი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), ანდრეი კოვაჩევი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), ივან შტეფანეცი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), მიქელე რივასი (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი) მირიამ ლექსმანი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები), რადოსლავ სიკორსკი (ევროპული სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატები).

[25] „ევროპარლამენტარები მოუწოდებენ ხელისუფლებას, სააკაშვილი სამკურნალოდ უცხოეთში გადაიყვანოს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/552207, განახლებულია: 22.08.2023.

[26] იქვე.

[27] იქვე.

[28] იქვე.

4 ივლისს, ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს, უკრაინაში საქართველოს ელჩს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მიხელ სააკაშვილის მიმართ ქართული მხარის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულების გამო, პროტესტი გამოუცხადა,[29] 48 საათში ქვეყნის დატოვება და თბილისთან კონსულტაციების გამართვა მოსთხოვა.[30] 6 ივლისს, პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს ელჩმა კიევი დატოვა.[31]

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა საქართველოს ელჩს უკრაინაში გიორგი ზაქარაშვილს და საელჩოში მომუშავე თითოეულ დიპლომატს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.[32] დარჩიაშვილის შეფასებით, ომის დროს საელჩოს თანამშრომლების კიევში დარჩენა უკრაინელი ხალხის მხარდაჭერის მაგალითი იყო.[33] მინისტრის თქმით, „მეგობრები ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებენ“.[34] 12 ივლისს, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო შემოწმების მიზნით, კლინიკა „ვივამედში“ პოლონელი ექიმებით დაკომპლექტებული, ევროკავშირის სამედიცინო მისია შევიდა.[35]

14 ივლისს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განცხადება და ვიდეომასალა გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, პოლონელმა ექიმმა მიხეილ სააკაშვილისგან აღებული ნიმუში ქაღალდში გადაახვია და მის მალულად გატანას ფეხსაცმლის მეშვეობით ცდილობდა.[36] პენიტენციური სამსახურის განცხადებით, ექიმის „სამედიცინო ეთიკასა და სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამო საქციელს“ კიდევ უფრო მეტი „ბუნდოვანება“ შემატა იმ ფაქტმა, რომ მათ ისედაც ჰქონდათ მიცემული ოფიციალური წესით აღებული ნიმუშის გატანის უფლება”.[37]

იმავე დღეს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ბრიფინგი გამართა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუწოდა, მომხდარის შესახებ პოლონეთის საელჩოსგან ოფიციალური ახსნა-განმარტება მოეთხოვა, რადგან სწორედ საელჩო იყო პოლონელი ექიმის ერთ-ერთი რეკომენდატორი.[38]

19 ივლისს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებით, კლინიკაში მომხდარი ინციდენტი იყო გაუთვალისწინებელი და არ გულისხმობდა შეთანხმებასთან შეუსაბამო განზრახვას.[39] პოლონურმა მხარემ მადლიერება გამოხატა პოლონელი ექიმების მიერ სააკაშვილის მონახულებისა და გასინჯვის შესაძლებლობის მიცემისთვის, თუმცა მათი პოზიცი-

---

[29] „უკრაინის საგარეო უწყებამ სააკაშვილის გამო საქართველოს ელჩს „გადაჭრით გამოუცხადა პროტესტი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32488714.html, განახლებულია: 22.08.2023.

[30] „უკრაინა საქართველოს ელჩს 48 საათში ქვეყნის დატოვებას სთავაზობს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32487579.html, განახლებულია: 22.08.2023.

[31] „კიევი დატოვა საქართველოს ელჩმა უკრაინაში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 6 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32491971.html, განახლებულია: 22.08.2023.

[32] „დარჩიაშვილი უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე - „მეგობრები ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებენ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 5 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32490533.html, განახლებულია: 22.08.2023.

[33] იქვე.

[34] იქვე.

[35] „პოლონელი ექიმები სააკაშვილის ჯანმრთელობას გამოიკვლევენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 12 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/551927, განახლებულია: 22.08.2023.

[36] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადება“, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2023 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/moc.gov.ge/videos/992342251799708/, განახლებულია: 22.08.2023.

[37] იქვე.

[38] „კლინიკა ვივამედში მომხდარი ინციდენტის შემდეგ საგარეომ პოლონეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი დაიბარა”, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/552424, განახლებულია: 22.08.2023.

[39] „პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ვივამედში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/552698, განახლებულია: 22.08.2023.

ით, ვიდეომასალის გასაჯაროება და „საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა არაერთი ემოციური განცხადება ეწინააღმდეგება კარგი თანამშრომლობის პრინციპებს“.[40]

4. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ახალი პოლიტიკური პლატფორმა შექმნეს

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ შეთანხმებას მიაღწიეს და ახალი პოლიტიკური პლატფორმა შექმნეს.[41] 20 ივლისს გამართულ ღონისძიებაზე პარტიების ლიდერებმა ეს ინფორმაცია ოფიციალურად გააცნეს საზოგადოებას.[42] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის ოქტომბერში, სრულად პროპორციული წესით, 5-პროცენტიანი საარჩევნო ზღურბლის პირობებში ჩატარდება.

ნაციონალური მოძრაობისა და სტრატეგია აღმაშენებლის წინასაარჩევნო შეთანხმებას პოლიტიკოსები გამოეხმაურნენ.[43] საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიესალმა „გამარჯვების პლატფორმის“ შექმნას. სააკაშვილის თქმით, გიორგი ვაშაძე „ვარდების რევოლუციის ხელისუფლებაში“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეფორმატორი იყო და მას მომავალშიც უმნიშვნელოვანესი როლი ექნება როგორც ახალ გაერთიანებაში, ასევე, ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში.[44]

პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ გენერალური მდივნის ირაკლი კუპრაძის მოსაზრებით, მსგავსი გაერთიანება არ არის საინტერესო, რადგან „ნაციონალური მოძრაობის” ირგვლივ გადაჯგუფება არ ემსახურება ქართული საზოგადოების დაკვეთას. კუპრაძის აზრით, მესამე ალტერნატიული ცენტრის შექმნა გარდაუვალია.[45]

---

[40] იქვე.

[41] „ნაციონალურმა მოძრაობამ და სტრატეგია აღმაშენებელმა წინასაარჩევნო შეთანხმებას მიაღწიეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 21 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/552959, განახლებულია: 22.08.2023.

[42] იქვე.

[43] „პოლიტიკოსები ნაციონალური მოძრაობისა და სტრატეგია აღმაშენებლის წინასაარჩევნო შეთანხმებას აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 21 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/552989, განახლებულია: 22.08.2023.

[44] იქვე.

[45] იქვე.